განკარგულება:**გ-37.37220592**
თარიღი:**28/02/2022**

განკარგულება N7

28 თებერვალი 2022 წელი

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237114635) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს.ნ. 237114635) საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში, გიორგაძის ქუჩა N7-ში მდებარე 2500 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობა-ნაგებობიდან **(**N1 განაშენიანების ფართი 450 კვ. მ, საერთო ფართი 1125.8 კვ. მ, დამხმარე ფართი 267,01 კვ. მ. არასაცხოვრებელი სათავსო ფართი 858,79 კვ. მ. ოთახების რაოდენობა 53, სართულიანობა 3. N2 სართულიანობა 1, საერთო ფართი 65 კვ. მ, განაშენიანების ფართი 72 კვ. მ.) I და III სართულზე არსებული საერთო ჯამში 419,05 კვ. მ. ფართის (აქედან, პირველ სართულზე სამი ოთახი ჯამური ფართით 46,35 კვ. მ. და მესამე სართულზე არსებული ფართი მთლიანად 372,70 კვ. მ.) შენობა-ნაგებობის თანდართული დაშტრიხული გეგმის შესაბამისად შპს სატისისთვის (ს/ნ 437066201) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა;

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14);

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი